სამართალი

ყოველკვირეული საგაზეთო ჩანართი

28 მარტი, 2011 წელი, №54

სასამართლოს მომხმარებელთა შეფასება

მარიამ ბერიშვილი

სასამართლოები მომხმარებელთა გამოკითხვას უკვე საკუთარი რესურსებით აგრძელებენ, რადგანაც, როგორც სასამართლოებში აცხადებენ, კვლევას აქვს ერთი უმთავრესი დანიშნულება - სასამართლოებში არსებული პრობლემების დანახვა, მათი ანალიზი და სიტუაციის გამოსწორებაზე მუდმივი ზრუნვა.

აღსანიშნავია, რომ 2010 წლის დეკემბრიდან სასამართლოებმა უკვე საკუთარი რესურსებით დაიწყეს კვლევების ჩატარება. მცირე მასშტაბის კვლევები ჩატარდა ხაშურის, ხელვაჩაურისა და ოზურგეთის რაიონულ სასამართლოებში და ბათუმის საქალაქო სასამართლოში.

საქმის გადაწყვეტის ვადები, სასამართლოს თანამშრომელთა მხრიდან დამოკიდებულის შეფასება, სასამართლოს მხრიდან ინფორმაციის გაცემის პროცედურების სიმარტივე, სასამართლოში მისაღები ადგილების კომფორტულობის შეფასება - ასეთი გახლდათ იმ შეკითხვების ძირითადი ჩამონათვალი, რომელსაც სპეციალურად ტრენინგგავლილი სტაჟიორები სასამართლოში მისულ მოქალაქეებს უსვამდნენ.

ყველა პარამეტრის მიხედვით, მდგომარეობა აღნიშნულ სასამართლოებში დადებითად შეფასდა, რაც, საბოლოო ჯამში, სასამართლოსადმი ნდობის გაზრდაში გამოიხატა.

კვლევის ბოლო შეკითხვა სასამართლოს მიმართ ნდობას შეეხებოდა. როგორც აღმოჩნდა, ოზურგეთის და ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში გამოკითხულთა 66 პროცენტი ენდობა სასამართლოს, ბათუმის საქალაქო სასამართლოს მიმართ კი ნდობა გამოკითხული რესპოდენტების 67 პროცენტმა დააფიქსირა.

გაგრძელება მე-3 გვერდზე

ალჯერნაჯიული სასჯელი და უცხოური პრაქტიკა

უახლოეს პერიოდში, საქართველოში ახალი პროგრამა ამოქმედდება, რომლის მიხედვითაც, მსჯავრდებულები, რომლებსაც არასაპატიმრო სასჯელის სახით საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა შეეფარდებათ - ანაზღაურების გარეშე, ბიუჯეტის და საზოგადოების სასარგებლოდ შეასრულებენ სხვადასხვა სამუშაოებს.

საზოგადოებრივად სასარგებლო შრომის სასჯელთან დაკავშირებით დაგეგმილი სიახლეების შესაბამისად, ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულისთვის გასამართლებული მსჯავრდებულები ციხეებში აღარ მოხვდებიან და მათ სასჯელად სხვადასხვა სახის შრომა დაეკისრებათ. მსჯავრდებულებისთვის სამუშაო ადგილების გამოყოფაზე თბილისის მერია იზრუნებს.

საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა იმ პირებს შეეხებათ, რომლებსაც მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაული არ ჩაუდენიათ, არ აქვთ გირაოს გადახდის შესაძლებლობა და ამავდროულად საზოგადოებისთვის პოტენციურ საფრთხეს არ წარმოადგენენ.

საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის შესრულებისას, მსჯავრდებულებს გააკონტროლებენ პრობაციის ოფიცრები და დამსაქმებლები. მსჯავრდებულები ვალდებულები იქნებიან, ეკეთოთ სამაჯურები, რომელიც ელექტრონულად დაკავშირებული იქნება ცენტრთან. სამაჯურის მოხსნის და გაქცევის შემთხვევაში, სიგნალი რამდენიმე წამში ცენტრს მიეწოდება, რის შემდეგაც დაკავებულ პირს არასაპატიმრო სასჯელი საპატიმრო სას-

გაგრძელება მე-4 გვერდზე

სასამართლოს ორი გამამართლებელი განაჩენი

ბოლო ერთი კვირის მანძილზე ქუთაისის საქალაქო სასამართლომ ორი გამამართლებელი განაჩენი დაადგინა.

2

მეწარმის სასარგებლოდ გადაწყვეტილი დავა და უარი აპელანტს

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ შემოსავლების სამსახურის პოზიცია არ გაიზიარა და დავა მეწარმის სასარგებლოდ გადაწყვიტა.

2

უზენაესი სასამართლოს ვებგვერდი გამართულად მუშაობს



საიტზე ატვირთულია მნიშვნელოვანი ინფორმაცია, როგორც უზენაესი სასამართლოს საქმიანობის, ასევე მართლმსაჯულების სფეროში მიმდინარე სიახლეების შესახებ. ვებგვერდზე ატვირთული ინფორმაციების დიდი ნაწილი ინგლისურ ენაზეა ნათარგმნი.

4

Vox Populi

შეკითხვები "სამართალს"

რუბრიკა Vox populi სისტემატურად შემოგთავაზებთ მკითხველთა წერილებს, მოსაზრებებს და შეკითხვებს.

ელისო კიკნაძე,
40 წლის:

- კონკრეტულად ვინ უზრუნველყოფს სასამართლო სხდომის დარბაზში წესრიგის დაცვას, მოსამართლე თუ მანდატური? შეიძლება თუ არა წესრიგის დარღვევისთვის სხდომის დარბაზიდან გააძევონ ან დააჯარიმონ პროკურორი ან ადვოკატი?

- სასამართლო სხდომის დარბაზში წესრიგის დაცვას უზრუნველყოფს სხდომის თავმჯდომარე. სწორედ სხდომის თავმჯდომარეა უფლებამოსილი, დარბაზში დამსწრე პირთა ადგილების გათვალისწინებით შეზღუდოს სხდომაზე დამსწრეთა რაოდენობა.

სასამართლო სხდომაზე წესრიგის დარღვევის, სხდომის თავმჯდომარის განკარგულებისადმი დაუმორჩილებლობის ან სასამართლოს მიმართ უპატივცემულობის შემთხვევაში, სხდომის თავმჯდომარეს ადგილზე თათბირით გამოაქვს განკარგულება, რომლის თანახმადაც, ის უფლებამოსილია, სასამართლო სხდმის დარბაზიდან გააძევოს ან დააჯარიმოს როგორც პროცესის მონაწილე რომელიმე მხარე - სახელმწიფო ბრალმდებელი ან ადვოკატი, ასევე სხდომაზე დამსწრეც.

თუ სხდომის თავმჯდომარის განკარგულება სასამართლო სხდომის დარბაზიდან გაძევების შესახებ ეხება სახელმწიფო ბრალმდებელს ან ადვოკატს, საპროცესო კოდექსის თანახმად, სისხლის სამართლის საქმის განხილვა გადაიდება. ასეთ დროს სასამართლო სხდომა არ გადაიდება იმ შემთხვევაში, თუკი გაძევებული ბრალმდებლის ან ადვოკატის გარდა, პროცესში მონაწილეობს კიდევ სხვა ბრალმდებელი, ან ადვოკატი.

გაძევებული ბრალმდებლის ან ადვოკატის არასათანადო ქცევის შესახებ სასამართლომ უნდა გამოიტანოს კერძო განჩინება, რომელიც გაეგზავნება შესაბამისად საქართველოს მთავარ პროკურატურას ან ადვოკატთა გაერთიანებას.

გიორგი ვარაზაშვილი,
37 წლის:

- პროცესის მონაწილისთვის თუ არსებობს დაცვის რაიმე სახის ღონისძიებები, რასაც კანონი ითვალისწინებს?

- სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი პროცესის მონაწილის დაცვის სპეციალური ღონისძიების რამდენიმე სახეს ითვალისწინებს. დაცვის სპეციალური ღონისძიების ერთ-ერთი ფორმა არის საჯარო რეესტრში ან სხვა საჯარო ხასიათის ჩანაწერში პროცესის მონაწილის ამოცნობისა და იდენტიფიცირების შესაძლებლობის შემცველი მონაცემების, კერძოდ, სახელის, გვარის, მისამართის, სამუშაო ადგილის, პროფესიის ან სხვა შესაბამისი ინფორმაციის, შეცვლა ან ამოღება.

დაცვის სპეციალური ღონისძიების კიდევ ერთ-ერთი ფორმაა პროცესის მონაწილის ამოცნობისა და იდენტიფიცირების შესაძლებლობის შემცველი საპროცესო დოკუმენტის გასაიდუმლოება. დაცვის სპეციალური ღონისძიების სხვა ფორმები ასეთია: პროცესის მონაწილისთვის ფსევდონიმის მინიჭება, პროცესის მონაწილისთვის უსაფრთხოების ზომების მიღება, გარეგნობის შეცვლა და საცხოვრებელი ადგილის დროებით ან სამუდამოდ შეცვლა.

პროკურორი უფლებამოსილია პროცესის მონაწილის, მასთან დაკავშირებული პირის ან მისი ახლო ნათესავის მიმართ, მათი თანხმობით, გამოიყენოს დაცვის ნებისმიერი სპეციალური ღონისძიება.

პროცესის მონაწილის დაცვის სპეციალური ღონისძიების ხარჯებს სახელმწიფო გაიღებს.

სასამართლო ქრონიკა

სასამართლოს ორი გამამართლებელი განაჩენი

ბოლო ერთი კვირის მანძილზე ქუთაისის საქალაქო სასამართლომ ორი გამამართლებელი განაჩენი დაადგინა.

24 მარტს, სასამართლომ უდანაშაულოდ ცნო დარეჯან კ-ძე, რომელსაც ბრალი დაედო ი.ქ.-ს კუთვნილი ნივთების თვითნებურად დაუფლების ფაქტზე, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 360-ე მუხლის პირველი ნაწილით.

სასამართლო განხილვისას ბრალდებულმა განაცხადა, რომ პარტნიორთან ი.ქ-სთან ერთად ეკონომიკური საქმიანობისთვის შეძენილი ნივთები შესანახად წაიღო მხოლოდ იმ მიზნით, რომ საიჯარო ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ საწარმო ფუნქციონირებას აღარ გააგრძელებდა და ეს ნივთები არ დაიკარგულიყო ან არ განადგურებულიყო.

გარდა ბრალდებულის ჩვენებისა, სასამართლომ შეჯიბრებითობის პრინციპის დაცვით, შეისწავლა საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ბრალდებულის ქმედებაში არ არსებობდა სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ქმედება, რის გამოც, იგი უდანაშაულოდ ცნო და აღნიშნა, რომ მხარეებს შორის მარსებული დავა სამოქალაქო სამართალწარმოების წესით უნდა გადაწყდეს.

22 მარტს იგივე სასამართლოს გადაწყვეტილებით, კიდევ ერთი გამამართლებელი განაჩენი დადგა. ამჯერად, სასამართლომ ივანე ი. ცნო უდანაშაულოდ.

მას ბრალი ედებოდა ქუთაისში არსებული სკვერიდან ბეტონის კონსტრუქციებისაგან ჩამოსხმული საყვავილის ქურდობის მცდელობაში. სასამართლომ თანაბარი პირობები შეუქმნა მხარეებს, მოისმინა დაცვისა და ბრალდების მტკიცებულებები და დაადგინა, რომ ივანე ი-ს ქმედებაში არ არსებობდა სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედება, რის გამოც იგი უდანაშაულოდ იქნა ცნობილი.

მეწარმის სასარგებლოდ გადაწყვეტილი დავა და უარი აპელანტს

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინსტრაციულ საქმეთა პალატამ შემოსავლების სამსახურის პოზიცია არ გაიზიარა და დავა მეწარმის სასარგებლოდ გადაწყვიტა.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო «შესწორებული საგადასახადო მოთხოვნა», რომლითაც შპს «მშენებელი 2»-ს საშემოსავლო გადასახადის სახით 66122.25 ლარი დაერიცხა, გამოცემული იყო საშემოსავლო გადასახადისა და სანქციის დარიცხვის კანონიერების საკითხის შესწავლისა და გამოკვლევის გარეშე.

სააპელაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა რაიონული სასამართლოს არგუმენტები, ბათილად ცნო ახალციხის რეგიონული ცენტრის "შესწორებული საგადასახადო მოთხოვნა» და საგადასახადო ორგანოს დაავალა ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლოს პალატამ მ. შარვაძის სისხლის სამართლის საქმის განხილვა დაასრულა. მსჯავრდებულს თაღლითობისთვის 7 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა. მ. შარვაძემ საპროცესო შეთანხმების სანაცვლო 10 900 აშშ დოლარის მითვისება თაღლითური გზით შეძლო.

საქმის მასალებით ირკვევა, რომ მ. შარვაძემ ნაცნობი ნ. ქავთარაძე, რომლის შვილი დაკავებული იყო ნარკოტიკული დანაშაულისათვის, მოატყუა და საპროცესო შეთანხმების გაფორმებისთვის 10 900 აშშ დოლარი გამოართვა.

მ. შარვაძის თაღლითობის შესახებ დაზარალებულმა შვილის სასამართლოზე შეიტყო, არადა, დედა დარწმუნებული იყო, რომ საქმე საპროცესო შეთანხმებით დასრულდებოდა, რეალურად კი აღმოჩნდა, რომ არც ბრალდების და არც დაცვის მხარემ აღნიშნულის თაობაზე არაფერი იცოდა.

მ. შარვაძის თაღლითური განზრახვის გამჟღავნებისთანავე თბილისის პროკურატურამ გამოძიება დაიწყო. მოგვიანებით მ. შარვაძეს დააკავეს.

პირველი ინსტანციის სასამართლომ მას თაღლითობისთვის 7 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სააპელაციო საჩივრით მსჯავრდებულმა მიმართა და გამართლება მოითხოვა. მისი თქმით, თანხა მან დაზარალებულისგან ისესხა და არასდროს დაპირებია შვილისთვის საპროცესო შეთანხმების გაფორმებაში დახმარებას.

თუმცა, სასამართლო განხილვისას დადასტურდა მსჯავრდებულის ბრალეულობა და აპელანტს უარი ეთქვა სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე.

ხანგრძლივი პაემანი უვადო თავისუფლებააღკვეთილებისათვის

უვადოდ თავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებულები შეძლებენ ისარგებლონ 24-საათიანი პაემნით წელიწადში ორჯერ და დამატებით მესამე პაემნით - წახალისების მიზნით.

სასჯელაღსრულების •6 დაწესებულებაში, სადაც უვადოდ თავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებულები იმყოფებიან, ხანგრძლივი პაემანი ამოქმედდა.

როგორც სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის ხათუნა კალმახელიძის თქმით, ეს რეფორმა ხელს უწყობს მსჯავრდებულთა რეაბილიტაციას და პენიტენციური სისტემის გამჭვირვალობას.

გრძელვადიანი პაემანი არ შეეხება იმ მსჯავრდებულებს, რომლებიც იმყოფებიან საკარანტინო რეჟიმში, დაკისრებული აქვთ დისციპლინური სახდელი, ან შეფარდებული აქვთ ადმინისტრაციული პატიმრობა.

კანონის თანახმად, მსჯავრდებულს უფლება აქვს 24 საათის განმავლობაში ისარგებლოს ხანგრძლივი პაემნით შვილთან, ნაშვილებთან, მეუღლესთან, მშობელთან, მშვილებელთან, დასთან და ძმასთან ერთად, მსჯავრდებულის ან დასახელებული პირების ხარჯით.

მართლმსაჯულება

სასამართლოს მომხმარებელთა შეფასება

პირველი გვერდიდან

ხაშურის რაიონულმა სასამართლომ გამოკითხვა ოდნავ განსხვავებული ფორმით ჩაატარა და სასამართლოს მოხელეთა მხრიდან კომუნიკაციის სტანდარტების დაცვის მდგომარეობის შეფასება განახორციელა.

ხაშურის რაიონულ სასამართლოში მოსულმა მოქალაქეებმა, ანონიმურობის დაცვით, სპეციალური კითხვარი შეავსეს, სადაც შეაფასეს, როგორც სასამართლოს მოხელეთა თავაზიანობა, გულისხმიერება, კეთილგანწყობა, პუნქტუალობა, პროფესიონალიზმი, ასევე, მათი აზრით, რამდენად შეესაბამებოდა სასამართლოს მოხელეთა ჩაცმულობა და სამუშაო გარემო მაღალ სტანდარტს.

აღნიშნული გამოკითხვა, როგორც ბოლო დროს ჩატარებული კვლევების დიდი ნაწილი, მომხმარებელთა სერვისის შეფასებასა და სასამართლოს მიმართ ნდობის პროცენტულ მაჩვენებელს ასახავს.

მიმდინარე წლის თებერვალში სასამართლოს მომხმარებელთა გამოკითხვა სასამართლოს სტაჟიორების დახმარებით ჩატარდა თბილისის, ქუთაისის და რუსთავის საქალაქო სასამართლოებში. სულ გამოიკითხა 1900 სასამართლოს მომხმარებელი და აღმოჩნდა, რომ სასამართლოს გადაწყვეტილებას სამართლიანად აფასებს გამოკითხულთა 68 პროცენტი.

"გამოკითხვებმა აჩვენა, რომ მდგომარეობა სასამართლოში ყველა მიმართულებით გაუმჯობესებულია, რაც აისახა კიდეც სასამართლოს მიმართ მოქალაქეების მხრიდან გაზრდილ ნდობაზე. გამოკითხვების მიზანი ციფრების დაფიქსირება არ გახლავთ. ყველა ასეთ კვლევას აქვს მხოლოდ ერთი დანიშნულება - სასამართლოებში არსებული პრობლემების დანახვა, მათი ანალიზი და სიტუაციის გამოსწორებაზე მუდმივი ზრუნვა. როცა სიტუაციას იკვლევ, ეს ნიშნავს, რომ მდგომარეობის შეფასებასა და გაუმჯობესებაზე ზრუნავ," - აცხადებენ უზენაეს სასამართლოში.

სასამართლოს მომხმარებელთა გამოკითხვებს სასამართლოები კვლავ აგრძელებენ და მასში მონაწილეობის მიღება ნებისმიერ მოქალაქეს შეუძლია. სპეციალური კითხვარი სასამართლოების ვებგვერდებზეა განთავსებული და როგორც შედეგებიდან ჩანს, მას მოქალაქეები აქტიურად ავსებენ. მართალია, ინტერნეტგამოკითხვა სრულ სურათს არ იძლევა, მაგრამ გარკვეული დასკვნების გაკეთება სასამართლოს საქმიანობის თაობაზე ამ პასუხებიდანაც შეიძლება. გთავაზობთ, რამდენიმე შეკითხვაზე, უზენაესი სასამართლოს, თბილისის საქალაქო სასამართლოსა და თბილისის სააპელაციო სასამართლოს ინტერნეტრესპოდენტთა მიერ გაცემული პასუხების შედეგებს.

სასამართლოს მოხელეთა თავაზიანობა (კეთილგანწყობა) - ამ შეკითხვაზე პასუხი თბილისის საქალაქო სასამართლოს მისამართით 23 რესპონდენტს აქვს გაცემული და 43.5 პროცენტის შეფასებით ძალიან კარგია; 21.7 პროცენტის - კარგი, 21.7 პროცენტი მიიჩნევს, რომ - საშუალო.

ამავე შეკითხვაზე უზენაესი სასამართლოს იმ მომხმარებელთა 66.7 პროცენტი, რომელმაც მონაწილეობა მიიღო გამოკითხვაში, სასამართლოს მოხელეთა თავაზიანობას - ძალიან კარგად აფასებს, 33.3 - კარგად.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს მომხმარებელ რესპოდენტთა 50 პროცენტი მოხელეთა თავაზიანობას - ძალიან კარგად აფასებს, 20 პროცენტი - კარგად, 20 პროცენტი საშუალოდ.

სასამართლო მოხელეთა ყურადღებიანობა (გულისხმიერება) - თბილისის საქალაქო სასამართლოს მომხმარებელ-რესპოდენტების 43.5 პროცენტი მას ძალიან კარგად აფასებს, 21.7 - კარგი, 21.7 - საშუალოდ.

უზენაესი სასამართლოს გამოკითხვებით კი, 50 პროცენტი მიიჩნევს, რომ სასამართლოს მოხელეები ძალიან ყურადღებიანები არიან, 50 პროცენტის აზრით კი, საშუალოდ.

ამ შკითხვაზე სააპელაციო სასამართლოს 33.3 პროცენტი ძალიან კარგ შეფასებას აძლევს, 33 - კარგს, 22.2 - საშუალოს.

სასამართლო მოხელეთა კომუნიკაბელურობა - ამ შეკითხვაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს მომხმარებელ-რესპოდენტთა 47.8 პროცენტი იძლევა პასუხს, რომ ძალიან კარგია, 17.4 - კარგი, 13 - საშუალო.

უზენაესი სასამართლოს შემფასებელთა 50 პროცენტი მოხელეთა კომუნიკაბელურობას ძალიან კარგად აფასებს, 50 პროცენტი კარგად.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოხელეთა კომუნიკაბელურობას გამოკითხულთა 25 პროცენტი ძალიან კარგად აფასებს, 50 - კარგი, 25 პროცენტი - საშუალოდ.

სასამართლო მოხელეთა პროფესიონალიზმი - რესპოდენტთა 52.4 პროცენტი, თბილისის საქალაქო სასამართლოს პროფესიონალიზმს ძალიან კარგ შეფასებას აძლევს, 19 პროცენტის აზრით - კარგია, 9.5 პროცენტისთვის - საშუალო.

უზენაესი სასამართლოს მოხელეთა პროფესიონალიზმს რესპოდენტთა 50 პროცენტი უმაღლეს შეფასებას აძლევს, 50 პროცენტის აზრით კი - კარგია.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს პროფესიონალიზმი რესპოდენტთა 28.6 პროცენტმა შეაფასა ძალიან კარგად, 42.9 პროცენტმა - კარგად, 28.6 - საშუალოდ.

სასამართლო მოხელეთა ოპერატიულობა (სისწრაფე) - ამ შეკითხვაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს რესპოდენტთა 38.1 პროცენტი უმაღლეს შეფასებას აძლევს, 19 პროცენტის აზრით - კარგია, 19 პროცენტი საშუალოდ აფასებს.

უზენაესი სასამართლოს მოხელეთა ოპერატიულობას რესპოდენტთა 50 პროცენტი ძალიან კარგად მიიჩნევს, 50 პროცენტი კი - კარგად.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოხელეთა ოპერატიულობა რესპოდენტთა 37.5 პროცენტის აზრით - ძალიან კარგია, 25 პროცენტისთვის - კარგი, 25 პროცენტისთვის - საშუალო.

სასამართლო მოხელეთა მიუკერძოებლობა - ამ შეკითხვაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს მომხმარებელ-რესპოდენტთა 50 პროცენტი პასუხობს, რომ ძალიან კარგია,

9.1 პროცენტის აზრით, კარგი, 13.6 პროცენტისთვის - საშუალო.

უზენაესი სასამართლოს მოხელეთა მიუკერძოებლობა რესპოდენტთა 50 პროცენტისთვის ძალიან კარგია, 50 პროცენტისთვის კი - კარგი.

სააპელაციო სასამართლოს მოხელეთა მიუკერძოებლობას რესპოდენტთა 57.1 პროცენტი აფასებს ძალიან კარგად, 14.3 - კარგად, 14.3 - საშუალოდ.

სასამართლო მანდატურის დამოკიდებულება მოქალაქისადმი - თბილისის საქალაქო სასამართლოში მანდატურების დამოკიდებულებას მოქალაქეებისადმი გამოკითხულთა 61.9 პროცენტი ძალიან კარგად აფასებს, 19 - კარგად, 14.3 - საშუალოდ.

უზენაესი სასამართლოს მანდატურთა ქცევას რესპოდენტთა 50 პროცენტი ძალიან კარგად მიიჩნევს, 50 პროცენტის აზრით - კარგია.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს მანდატურთა დამოკიდებულება მოქალაქეებისადმი რესპოდენტთა 37.5 პროცენტს - ძალიან კარგად მიაჩნია, 50 პროცენტს - კარგად,

12.5 პროცენტს - საშუალოდ.

სიმყუდროვე და კომფორტი სასამართლოში - რესპოდენტთა 38.1 პროცენტი

თბილისის საქალაქო სასამართლოში სიმყუდროვისა და კომფორტის ხარისხს - ძალიან კარგ შეფასებას აძლევს, 4.3 - კარგს, 23. 8 - საშუალოს.

უზენაეს სასამართლოს ამ მხრივაც ლიდერის პოზიცია უკავია - 50 პროცენტი თვლის, რომ ამ მხრივ სიტუაცია ძალიან კარგია, 50 პროცენტის აზრით, კი - კარგი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოში სიმყუდროვესა და კომფორტს რესპოდენტთა 50 პროცენტი ძალიან კარგად აფასებს, 25 პროცენტი - კარგად, 25 პროცენტი - საშუალოდ.

Vox Populi

გოგი გუგუშვილი,
47 წლის:

- გამოძიების პროცესში აქვს თუ არა მხარეს უფლება, უკანონოდ ჩაერიოს სხვის პირად ცხოვრებაში? აქვს თუ არა უფლება, საპროცესო მოქმედების ჩამტარებელს, გაამჟღავნოს ამა თუ იმ პირთან დაკავშირებული პირადი ცხოვრების შემცველი ცნობები? თუ პირს ზიანი მიადგა მისი პირადი ცხოვრების შესახებ ინფორმაციის უკანონოდ გამჟღავნებით, აქვს თუ არა უფლება, მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება?

- გამოძიების პროცესში, მხარეს არა აქვს უფლება, თვითნებურად და უკანონოდ ჩაერიოს სხვის პირად ცხოვრებაში. კერძო საკუთრების ან სხვა მფლობელობის და ნებისმიერი საშუალებით განხორციელებული კერძო კომუნიკაციის ხელშეუხებლობა გარანტირებულია კანონით.

საპროცესო მოქმედების ჩამტარებელმა არ უნდა გაამჟღავნოს ცნობები პირადი ცხოვრების შესახებ, ასევე პირადი ხასიათის ცნობები, რომელთა საიდუმლოდ დაცვაც პირს საჭიროდ მიაჩნია.

პირს, რომელსაც ზიანი მიადგა მისი პირადი ცხოვრების შესახებ ცნობების უკანონოდ გამჟღავნებით, აქვს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ზიანის სრულად ანაზღაურების უფლება.

დავით გრიშიკაშვილი,
58 წლის:

- კონკრეტულად ვინ განსაზღვრავს იმ სამუშაოების ჩამონათვალს, რომლებზეც აკრძალულია მსჯავრდებულის დასაქმება და რის საფუძველზე განისაზღვრება შრომის ანაზღაურება?

- იმ სამუშაოების ჩამონათვალი, რომლებზეც აკრძალულია მსჯავრდებულის დასაქმება, განისაზღვრება თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების დებულებით. მსჯავრდებული შესრულებული სამუშაოსთვის იღებს ხელფასს საქართველოს შრომის კანონმდებლობის შესაბამისად. შრომის ანაზღაურების წესი და პირობები განისაზღვრება კანონმდებლობით.

გიგა კვერნაძე,
54 წლის:

- რომელი მსჯავრდებულები ვერ ისარგებლებენ ხანგრძლივი პაემნით და ვინ წყვეტს მსჯავრდებულისთვის ხანგრძლივი პაემნის მიცემის უფლება?

- ხანგრძლივი პემანით ვერ ისარგებლებენ დახურული ტიპის დაწესებულებაში მყოფი მსჯავრდებულები. აგრეთვე, ის მსჯავრდებულები, რომლებიც იმყოფებიან საკარანტინო რეჟიმში, დაკისრებული აქვთ დისციპლინარული სახდელი ან შეფარდებული აქვთ ადმინისტრაციული პატიმრობა.

ხანგრძლივი პაემნის მიცემის საკითხს წვეტს თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების დირექტორი.

ანა ლიკლიკაძე,
38 წლის:

- რა რაოდენობის ჯარიმა შეიძლება დააკისროს მოსამართლემ პროცესის მონაწილეს არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობისთვის და ამ შემთხვევაში თავისუფლდება თუ არა პროცესის დაჯარიმებული მონაწილე პროცესზე გამოცხადებისგან?

- სასამართლოში პროცესის მონაწილის არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობისას მას სხდომის თავმჯდომარე განკარგულებით აკისრებს ჯარიმას 100 ლარიდან 5000 ლარამდე ოდენობით, რაც პროცესის მონაწილეს არ ათავისუფლებს გამოცხადების ვალდებულებისაგან.

ალტერნატიული სასჯელი და უცხოური პრაქტიკა

პირველი გვერდიდან

ჯელად გადაექცევა.

სიახლის ინიციატორები ვარაუდობენ, რომ ამით საქართველოში არასაპატიმრო სასჯელის განვითარებას, დანაშაულის პრევენციას შეუწყობენ ხელს, რადგან ამ ინიციატივით, მოხდება დანაშაულის პრევენცია და მსჯავრდებულის რესოციალიზაცია.

ალტერნატიული სასჯელები, რომელთაგან ყველაზე გავრცელებულია. საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა, საზღვარგარეთის ქვეყნებში ნაკლებად მძიმე დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში ფართოდ გამოიყენება. მისი აქტიურად გამოყენების მიზეზია ის, რომ ქვეყანაში იყოს რაც შეიძლება ნაკლები პატიმარი და არ მოხდეს მათი საზოგადოებისგან გარიყვა. საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა გამოიყენება აშშ-ში, დიდ ბრიტანეთში, საფრანგეთში, გერმანიაში, ჰოლანდიაში, ავსტრიაში, ბელგიაში, ბულგარეთი, ესპანეთში, შვედეთში, შვეიცარიაში, ლიტვაში, რუსეთში, უკრაინაში, სომხეთში და ა.შ.

საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა, გამოიყენება ამერიკის შეერთებული შტატების ყველა შტატში, როგორც ძირითადი, ასევე ალტერნატიული სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთისა და ჯარიმის სანაცვლოდ. აშშ-ში მოქმედებს საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომის სპეციალური პროგრამები, რომლებსაც ახორციელებენ სახელმწიფო და არაკომერციული ორგანიზაციები. არაკომერციულ ორგანიზაციებს აქვთ საკუთარი პროგრამებიც. მიუხედავად იმისა, რომ ამ პროგრამებს გარკვეული სირთულეები ახასიათებს, მაგალითად, სამუშაო ადგილების მოძებნა, პასუხისმგებლობის რისკი, განხორციელების ხარჯები, ასევე სამართალდამრღვევთა უნარ-ჩვევების შეუსაბამობა სამუშაოსთან, ისინი მაინც წარმატებით ხორციელდება. საზოგადოებრივი შრომა, როგორც წესი, არ არის ანაზღაურებადი, თუმცა არის გამონაკლისებიც, მაგალითად, არიზონას შტატში პროგრამაში ჩართულ მსჯავრდებულებს უხდიან გარკვეულ თანხას, რომლის დიდი ნაწილი მათ ექვითებათ, რათა ანაზღაურებული იყოს პროგრამის ხარჯები, რაც პროგრამას ნაწილობრივ თვითანაზღაურებადს ხდის.

ვაშინგტონის საოლქო სასამართლოს მოსამართლეს გამოაქვს გადაწყვეტილება საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომის დაკისრების

შესახებ. იგი განსაზღვრავს სამუშაო საათების რაოდენობასა და დროს. ამის შემდეგ საქმე გადაეცემა პროგრამის კოორდინატორს, რომელიც ასაქმებს მსჯავრდებულს შესაბამის სამუშაო ადგილზე.

დიდი ბრიტანეთის კანონმდებლობით საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა განიხილება, როგორც თავისუფლების აღკვეთის ალტერნატივა. მსჯავრდებული ვალდებულია შეასრულოს გარკვეული სამუშაო ანაზღაურების გარეშე. საზოგადოებრივი შრომა სრულდება მსჯავრდებულის სამუშაოსგან თავისუფალ დროს, მხოლოდ სამუშაო დღეებში. თუმცა ის პირები, რომლებიც მუშაობენ ან სწავლობენ სრული გრაფიკით, საზოგადოებრივ სამუშაოს ასრულებენ შაბათ-კვირას ან საღამოობით. მსჯავრდებულების დასაქმებაზე ზრუნავენ ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები.

დიდ ბრიტანეთში არსებობს მსჯავრდებულთა დასაქმების ორი ფორმა: ჯგუფური და ინდივიდუალური. ჯგუფური დასაქმების დროს იქმნება პატარა ჯგუფები ოთხი ან ხუთი კაცის შემადგენლობით, რომელთაც საერთო ზედამხედველი ენიშნებათ. ეს ჯგუფები ძირითადად, მუშაობენ საზოგადოებრივ ცენტრებში, ეკლესიებში. ინდივიდუალური დასაქმების დროს პირს უნიშნავენ მენეჯერს, რომელიც აკვირდება მის ქცევას და აწარმოებს შესაბამის ჩანაწერებს, ასევე ზედამხედველ ოფიცერს. მსჯავრდებულს ასაქმებენ "მოხალისე" სააგენტოები, საქველმოქმედო მაღაზიები, რომლებიც ყიდიან შემოწირულ საქონელს, ეკლესიები, საზოგადოებრივი ჯგუფები. თუ დარღვეული იქნება საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის პირობები, საქმე დაბრუნდება სასამართლოში და მას სასჯელი დაუმძიმედება.

რუსეთის სისხლის სამართლის კოდექსში საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა მოიხსენიება როგორც სავალდებულო შრომა, რომელსაც ასრულებს მსჯავრდებული, რათა თავისი შრომით აანაზღაუროს მის მიერ მიყენებული ზიანი. სასჯელის დაკისრების დროს სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს სამართალდამრღვევის პირადი და სოციალური დახასიათება, კერძოდ, მისი ოჯახური და ჯანმრთელობის მდგომარეობა, პროფესიული ჩვევები, ფსიქოლოგიური ფაქტორი და სხვა. სამუშაო, რომელსაც ასრულებენ მსჯავრდებულები, ძირითადად, დაკავშირებულია ქუჩებისა და ტერიტორიების დალაგებასთან, რემონტთან, მშენებლობასთან. მსჯავრდებულებს ასაქმებს ადგილობრივი ხელისუფლება. მსჯავრდებულებზე ზედამხედველობას ახორციელებს სასჯელაღსრულებითი ინსპექცია. რუსეთში საზოგადოებრივი შრომა, როგორც დამოუკიდებელი სასჯელის ზომა, გამოიყენება 2004 წლიდან.

შვედეთში განაჩენის გამოტანის დროს მოსამართლე ყოველთვის უპირატესობას ანიჭებს ალტერნატიულ სანქციებს. შვედურ სისხლის სამართლის პროცესში პატიმრობა ნაკლებად მძიმე დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში არაეფექტურ სასჯელად ითვლება, რომელიც ვერ ახდენს სამართალდამრღვევის რესოციალიზაციას. თავისუფლების აღკვეთა ენიშნებათ, ძირითადად, იმ პირებს, რომელთაც ჩაიდინეს დანაშაული საკუთრების, სიცოცხლისა და ჯანმრთელობის წინააღმდეგ. პირობით ვადამდე გათავისუფლება, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომასთან ერთად, ენიშნებათ იმ პირებს, რომელთაც ბრალი ედებათ ისეთი დანაშაულის ჩადენაში, რომელიც არ არის დიდი სოციალური საფრთხის შემცველი. პირობით ვადამდე გათავისუფლება ასევე, გამოიყენება, როგორც თავისუფლების აღკვეთისა და ჯარიმის ალტერნატივა. მისი მაქსიმალური ვადაა სამი წელი. პრობაციის პერიოდი ორ ეტაპად იყოფა. თუ პირველი ერთი წლის განმავლობაში სამართალდამრღვევი არ დაარღვევს კანონს და მისი ქცევა იქნება სანიმუშო, მასზე შეწყდება კონტროლის განხორციელება და შეიძლება დადგეს საკითხი მისი სრული გათავისუფლების შესახებ, ხოლო თუ იგი დაარღვევს წესებს, ზედამხედველობის პერიოდი გაიზრდება.

საზოგადოებრივ სანქციებს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ფინეთის სასამართლო განაჩენთა სისტემაში. მათგან ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებულია საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა. სპეციალისტები თვლიან, რომ საზოგადოებრივი სანქციების ფართოდ გამოყენება უფრო მეტად შეუწყობს ხელს დამნაშავის გამოსწორებას და ახალი დანაშაულის თავიდან აცილებას, ვიდრე თავისუფლების აღკვეთა.

ფინეთში საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა გამოიყენება როგორც ძირითადი სასჯელი და შეიძლება დაინიშნოს თავისუფლების აღკვეთის ნაცვლად, თუ თავისუფლების აღკვეთის ვადა არ აღემატება რვა თვეს. ის ასევე შეიძლება დაინიშნოს პირობით ვადამდე გათავისუფლების დროს როგორც დამატებითი სასჯელი, თუ მისი ხანგრძლივობაა 12 თვე. ბოლო წლებში აქტიურად ხდება თავისუფლების აღკვეთის შეცვლა საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომით. მაგალითად, მხოლოდ 2006 წელს გამოტანილი სასამართლო განაჩენების 36 პროცენტი ითვალისწინებს საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომის დაკისრებას.

უზენაესი სასამართლოს ახალი ვებგვერდი გამართულად მუშაობს

საიტზე ატვირთულია მნიშვნელოვანი ინფორმაცია, როგორც უზენაესი სასამართლოს საქმიანობის, ასევე მართლმსაჯულების სფეროში მიმდინარე სიახლეების შესახებ. ვებგვერდზე ატვირთული ინფორმაციების დიდი ნაწილი ინგლისურ ენაზეა ნათარგმნი.

უზენაესი სასამართლოს ვებგვერდზე განთავსებულია საძიებო სისტემა, რომელიც დაინტერესებულ პირებს საშუალებას აძლევს, მოიძიოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები, თუმცა ერთ თვეში მზად იქნება საძიებო სისტემის ახალი პროგრამა, რომელიც ძიების პროცესს უფრო მარტივს და მოსახერხებელს გახდის.

როგორც უზენაესი სასამართლოს პრესსამსახური აცხადებს, უზენაესი სასამართლო ყოველთვის გაითვალისწინებს საიტის მომხმარებლების ინტერესებს. და უახლოეს მომავალში საიტის მეშვეობით, ასევე შესაძლებელი იქნება დაარქივებული საქმეების გაცნობაც.

"სასამართლოს ვებგვერდი საზოგადოებასთან ურთიერთობის ერთ-ერთი ეფექტური საშუალებაა, ამიტომაც, ჩვენთვის მნიშვნელოვანია, რომ ვებგვერდის მეშვეობით, თითოეულმა ვიზიტორმა სწორი და ეფექტური კონტაქტი შეძლოს სასამართლოსთან. ვფიქრობთ, ახალი ვებგვერდი ამ ფუნქციას წარმატებით შეასრულებს," - აცხადებს უზენაესი სასამართლოს პრესსამსახური.

სოციალურ ქსელ Facebook-ში კი შეიქმნა თბილისის სააპელაციო სასამართლოს გვერდი. თბილისის სააპელაციო სასამართლო პერმანენტულად განახლებს მის გვერდს, სხვადასხვა სიახლეების, მიმდინარე თუ დასრულებული პროექტების შესახებ ცნობების განთავსებით. ახალი გვერდი უზრუნველყოფს მოქალაქეებს ხელმისაწვდომი და კომფორტული წვდომით მათთვის საინტერესო და აქტუალურ ინფორმაციაზე.

მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდები იწყება

2011 წლის 26 მარტს 9 საათზე საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო ატარებს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდის პირველ ეტაპს (ტესტურ გამოცდას).

საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების უფლება ეძლევა საქართველოს ქმედუნარიან მოქალაქეს ოცდახუთი წლის ასაკიდან, თუ მას აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება და ფლობს სახელმწიფო ენას.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საორგანიზაციო კომისიაში მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდაზე მონაწილეობის მისაღებად საბუთები სულ 148 მსურველმა შემოიტანა. საგამოცდო კრებული მოსამართლის შესაბამისი დარგების მიხედვით 100 ტესტს შეიცავს. მეორე ეტაპზე გასასვლელად გამოსაცდელმა 75 ტესტს სწორი პასუხი უნდა გასცეს. გამოსაცდელს ტესტური გამოცდის წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში, მიეცემა საგამოცდო ფურცელი, რაც მას წერით გამოცდაზე გასვლის უფლებას აძლევს. წერითი გამოცდა ტარდება ერთ ტურად. გამოცდა ჩაბარებულად ითვლება, თუ გამოსაცდელი დააგროვებს სულ ცოტა 15 ქულას.

მეორე ეტაპის (წერით გამოცდის) წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში პირი საქართველოს იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელობის მისაღებ კონკურსში მონაწილეობის უფლებას მოიპოვებს.

მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდის მეორე ეტაპი (წერითი გამოცდა) ჩატარდება 2011 წლის 2 აპრილს.

საგამომცემლო ჯგუფი:
მარიამ ბერიშვილი
ხათუნა ბარათაშვილი
თამარ გურული
ტელ: 899 97 72 12
899 43 74 03.
ელ-ფოსტა: samartalis3@gmail.com